

Brot
für die Welt



სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

ნოემბერი 2024 - იანვარი 2025
V გამოშვება

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება
დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

Strong and resilient civil society
serving to democratic development in Georgia

სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა საქართველოში

ნოემბერი 2024 - იანვარი 2025

V გამოშვება

ავტორი: ზურაბ მენაღარიშვილი
სამუშაო ჯგუფი:
ვაჟა სალამაძე, ია გაბუნია, ლევან
ფანიაშვილი.



სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

Brot
für die Welt

ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის განვითარებისთვის საქართველოში

ეს დოკუმენტი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ორგანიზაცია „პური მსოფლიოს“ (BftW)-ის შეხედულებებს.



თბილისი 2025 © CSI

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	2
მეთოდოლოგია.....	3
ერთპარტიული პარლამენტი	4
არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი OSCE/ODIHR-ის დასკვნა არჩევნების შესახებ	6
ორი პრეზიდენტი.....	8
ევროკავშირთან მოლაპარაკებების გაყინვა და საპროტესტო აქციები	9
ძალადობა სახელმწიფოს მხრიდან, თავდასხმა მედიაზე და არაფორმალური ჯგუფები	10
შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა.....	13
საჯარო სამსახურის კანონი და „წმენდა“ პოლიტიკური ნიშნით	15
დასავლური სანქციები.....	18
მზია ამალღობელის საქმე.....	21
ანგარიშსწორება პოლიტიკურ ოპონენტებზე	23
USAID-ის პროგრამების შეჩერება.....	24
აფგან სადიგოვის საქმეზე დავა გრძელდება.....	25

მოკლე შეჯამება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში კიდევ უფრო გაღრმავდა არსებული პოლიტიკური კრიზისი. საპარლამენტო არჩევნების საკამათო შედეგებისა და მმართველი ძალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რომლის თანახმადაც შეჩერდებოდა ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ მოლაპარაკებების დღის წესრიგში დაყენება, ქვეყანაში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები დაიწყო. დემონსტრაციებზე, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლომდე გაგრძელდა და კვლავ გრძელდება, ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან ძალის გადამეტებას, ხშირ შემთხვევაში კი მიზანმიმართულ ძალადობასა და ანგარიშსწორებას.

აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციებზე დაკავებული მოქალაქეები პოლიციის მხრიდან ძალადობაზე, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ზოგ შემთხვევაში სიცოცხლის მოსპობისა და გაუპატიურების მუქარაზე საუბრობენ.

მიმდინარე საპროტესტო აქციების პარალელურად, ქვეყანაში გაუარესდა მედიის სამუშაო გარემოც, რადგან დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლებზე ძალოვანი უწყებებისა და არაფორმალური დაჯგუფებების წევრებმა იძალადეს. თავისუფალი მედიის შეზღუდვის მცდელობად ფასდება ქალაქ ბათუმში ჟურნალისტ მზია ამალაშვილის დაკავების ფაქტიც, რომელსაც პოლიციელზე სილის გაწვნის გამო რამდენიმე-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომელიც მმართველმა ძალამ საპროტესტო აქციების პარალელურად მიიღო. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუარესდა შეკრების და მანიფესტაციის, ასევე გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობა.

აღსანიშნავია, საჯარო სამსახურის კანონში შეტანილი ცვლილებებიც, რომლის თანახმადაც გამარტივდა რეორგანიზაციის პროცედურა, რასაც საჯარო მოხელეთა ნაწილი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკური ნიშნით დევნისთვის საჭირო ნაბიჯად აფასებენ.

გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ, რომელიც საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID-ის მუშაობის დროებით შეჩერებას გულისხმობს. აღნიშნულმა ვითარებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა დაფინანსების დივერსიფიკაციასა და ახალი გზების ძიებაზე უნდა იზრუნონ.

საბოლოოდ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, დასავლური იზოლაციისა და ლეგიტიმაციის კრიზისის პირობებში, მმართველმა ძალამ კიდევ უფრო ცხადად დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს შეზღუდვის მცდელობა, რაც დრაკონული კანონების მიღებასა და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაში გამოიხატა. მოსალოდნელია, რომ მსგავსი ტენდენცია კვლავ გაგრძელდება.

მეთოდოლოგია

„სამოქალაქო სივრცის მიმოხილვა“ არის არსებული მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგისა და ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყანაში არსებულ დე-იურე რეალობასთან ერთად, ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმდინარე ტენდენციებზე, ოფიციალური პირებისგან მიმდინარე რიტორიკისა და სამომავლოდ მოსალოდნელ გამოწვევებზე. მიმოხილვას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) გერმანული ფონდის „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით, პროექტის, „ძლიერი და მედეგი სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში დემოკრატიული განვითარებისთვის“ ფარგლებში. მიმოხილვის საანგარიშო პერიოდი, როგორც წესი, მოიცავს სამთვიან პერიოდს და აანალიზებს ამ დროის განმავლობაში მომხდარ და მიმდინარე ფაქტებსა და ტენდენციებს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სამოქალაქო სივრცისა თუ ამ სივრცის ცალკეული აქტორების მუშაობის შეფერხება და საქმიანობაში ხელშეშლა;
- მტრული რიტორიკა და დისკრედიტაციის კამპანიები;
- ფინანსური სტაბილურობა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
- სივრცე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისთვის;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან ადვოკატირებისა და მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა.

გარდა აღნიშნული მიმართულებებისა, ასევე შესაძლებელია, რომ მიმოხილვა მოიცავდეს სხვა იმ დროისთვის აქტუალურ საკითხს, რომლის გაერთიანებაც წინასწარ განსაზღვრულ მიმართულებებში შეუძლებელია.

მიმოხილვა გულისხმობს თითოეული მნიშვნელოვანი საკითხისა და მოვლენის ირგვლივ მონიტორინგსა და სიღრმისეულ თვისებრივ ანალიზს. გამომდინარე აქედან, იგი ატარებს როგორც დესკრიფციულ, ასევე ამხსნელობით ხასიათს.

მიმოხილვის მომზადებისას დაკვირვების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა და ნაგულისხმევია ისეთი ცვლადებისა და ინდიკატორების ანალიზი, როგორცაა სახელმწიფოს მხრიდან დამკვიდრებული ემპირიული პრაქტიკები, რომლებიც გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოზე, საკანონმდებლო ინიციატივები და იურიდიული ძალის მქონე სხვა დოკუმენტები, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისა და მმართველი პარტი(ებ)ის წარმომადგენლების საჯარო განცხადებები და შეფასებები და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

მონიტორინგის პროცესის განმავლობაში პროექტის გუნდი ასევე აანალიზებს მეორეულ წყაროებს, მათ შორის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევებს, ანგარიშებსა და შეფასებებს.

მონაცემთა შეგროვებისას, კონკრეტული საკითხის მნიშვნელობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე შესაძლებელია დამატებითი კვლევის წარმოება თვისებრივი კვლევის

მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კონკრეტულ მიზნობრივ შერჩევასთან სიღრმისეული ინტერვიუებისა და რამდენიმე ფოკუს-ჯგუფების ჩატარების გზით.

მიმოხილვა გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და გათვლილია ადგილობრივ და საერთაშორისო აუდიტორიაზე. დოკუმენტი ვრცელდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ყველა საკომუნიკაციო არხით, მათ შორის CSOGeorgia.org-ის გამოყენებით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ერთპარტიული პარლამენტი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არცერთმა დიდმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ თუ პარტიამ არ აღიარა, რომლებიც ამ არჩევნებში მონაწილეობდნენ. მათი განცხადებით, როგორც არჩევნების დღეს ხმის მიცემასთან დაკავშირებული მანიპულაციები, ასევე არჩევნების წინა პერიოდში დაფიქსირებული სისტემური დარღვევები, მათ შორის ამომრჩევლის მოსყიდვა, მათი დაშინება, მოქალაქეთა პირადი მონაცემების შესაძლო ხელყოფა და მსგავსი სახის სხვა შემთხვევები, არჩევნების შედეგებს არალეგიტიმურად აქცევდა.

არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა არ ცნო საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაც. გარდა საშინაო განწყობებისა, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი, ოპოზიციური პარტიები და პრეზიდენტი არ ცნობდნენ არჩევნების შედეგებს, ლეგიტიმურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საერთაშორისო დონეზეც. შედეგად, მმართველმა ძალამ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უცხო ქვეყნებიდან ლიმიტირებული მხარდაჭერა მიიღო, რაც ძირითადად საქართველოს მეზობელი ქვეყნების მეთაურებისა და ევროკავშირთან გართულებული ურთიერთობების მქონე სხვა ქვეყნების ლიდერების (უნგრეთი) მხრიდან არჩევნებში გამარჯვების მოლოცვაში გამოიხატა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 16 ნოემბერს საბოლოოდ დაამტკიცა¹², საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების შედეგების გაბათილების მოთხოვნით მიმართა. ამის მიზეზად პრეზიდენტის სარჩელში ფარულობისა და საყოველთაო და თავისუფალი მონაწილეობის პრინციპების დარღვევა სახელდება³. საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით მიმართა ოპოზიციამაც.

¹ Netgazeti. 2024. „ცესკომ საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://netgazeti.ge/news/751871/>

² ცესკო. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/document/view/6309474?publication=0>

³ რადიო თავისუფლება. 2024. „პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა არჩევნების შედეგების გასაბათილებლად“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33207809.html>

საკონსტიტუციო სარჩელებით სადავო გახდა არამხოლოდ არჩევნების შედეგები, არამედ ამ შედეგებზე დაყრდნობით პარტიათა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლის მიხედვით⁴, პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე პარლამენტის დადგენილებაში არ შეიტანება ის პირი, რომლის პარლამენტის წევრად არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა 25 ნოემბერს, აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, პარლამენტის 150-ვე წევრის, მათ შორის ოპოზიციონერი დეპუტატების უფლებამოსილება მაინც ცნო⁵. პრეზიდენტის, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება უკანონო იყო. მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების სარჩელზე გადაწყვეტილება 3 დეკემბერს გამოაქვეყნა⁶, რომლის თანახმადაც, მან აღნიშნული სარჩელები არსებითად განსახილველად არ მიიღო, რამაც ოპოზიციურ ჯგუფებში სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები გააჩინა⁷.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ პარლამენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ცნობას არ ესწრებოდა არცერთი უცხოური ქვეყნის ელჩი. დიპლომატებს მონაწილეობისგან თავშეკავებისკენ ქართული ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიმართეს⁸, მოგვიანებით კი თავად „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უცხოელი დიპლომატები სხდომაზე მიწვეულნი არ იქნებოდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა „ქართულ პოლიტიკაში უცხოური მონაწილეობის სამწუხარო ინსტრუმენტალიზაციის გამოცდილებით ახსნა“⁹.

საბოლოოდ, „ქართული ოცნების“ პარლამენტს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ 49 პირმა მიმართა, მათ შორის არიან შემდეგი პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ პარტიების

⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4401423?publication=64>

⁵ რადიო თავისუფლება. 2024. „პარლამენტმა, კონსტიტუციური სარჩელის მიუხედავად, 150-ვე წევრის უფლებამოსილება ცნო“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/ui46m>

⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=17525&fbclid=IwZxH0bgNhZW0CMTAAAR0xE5jsUMZPwOYqjHAqr6rzh69rL7JIBPKZHJNungUBKDACeJtQYkd9LU0_aem_vr6yABhu4NDe0RmKmhV1Zg

⁷ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება - შეფასება პოლიტიკურ სპექტრში“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://1tv.ge/video/sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetileba-shefaseba-politikur-speqtrshi/>

⁸ რადიო თავისუფლება. 2024. „გახარია დიპლომატებს მოუწოდებს, არ დაესწრონ პარლამენტის პირველ სხდომას და არ მისცენ მას ლეგიტიმაცია. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33210704.html>

⁹ ImediNews. 2024. „შალვა პაპუაშვილი ელჩების არ მიწვევაზე: გვაქვს სამწუხარო გამოცდილება იმის, რომ ხდება ინსტრუმენტალიზება უცხოური მონაწილეობისა ქართულ პოლიტიკაში. ჩვენს ელჩებსაც არ იწვევენ სხვა ქვეყნებში პარლამენტის პირველ სხდომებზე“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://shorturl.at/GM46L>

წარმომადგენლები: „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ და „ძლიერი საქართველო“. აღნიშნულმა გაერთიანებებმა ასევე მიმართეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო სიების ანულირების შესახებაც¹⁰, რაც ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა. უფლებამოსილების გაუქმების მოთხოვნით ქართული ოცნების პარლამენტისთვის არ მიუმართავს ყოფილი პრემიერ მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიას - „გახარია საქართველოსთვის“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პარტიაც არ აღიარებს არჩევნების შედეგებს და პარლამენტს არალეგიტიმურს უწოდებს. ის არ მონაწილეობს საპარლამენტო ცხოვრებაში.

ოპოზიციის გარეშე დარჩენილ „ქართულ ოცნებას“ 13 დეკემბერს კიდევ ერთხელ გამოეყო პოლიტიკური ჯგუფი „ხალხის ძალა“, რომელიც, მისი წევრების განცხადებით, „ჯანსაღი ოპოზიციის“ როლს შეასრულებს¹¹. „ხალხის ძალა“ წარსულშიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ჯგუფად პოზიციონირებდა, თუმცა ოპოზიციური პარტიებისა და პოლიტიკის ანალიტიკოსების შეფასებით, ის რეალურად „ქართული ოცნების“ დანამატია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ხალხის ძალა“ 2024 წლის არჩევნებისთვის დამოუკიდებელ პარტიად დარეგისტრირდა¹², მისი წევრები კვლავ ქართული ოცნების საარჩევნო სიაში მოხვდნენ. ასევე, „ხალხის ძალის“ წევრი იყო მიხეილ ყაველაშვილიც, რომელიც შემდგომში „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა¹³.

არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი - OSCE/ODIHR-ის დასკვნა არჩევნების შესახებ

ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შესახებ საბოლოო დასკვნა 20 დეკემბერს გამოაქვეყნა¹⁴.

დოკუმენტის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების ჩატარების ტექნიკური ასპექტები ეფექტურად წარმართა, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაცია მთლიანობაში ინკლუზიურად წარიმართა და კანდიდატებს ზოგადად შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად წარემართათ წინასაარჩევნო კამპანიები.

¹⁰ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „ცესკო-მ სამი ოპოზიციური გაერთიანების მოთხოვნა დააკმაყოფილა და მათ მიერ წარდგენილი საარჩევნო სიები გააუქმა“. ხელმისაწვდომია ბლუზე: <https://1tv.ge/news/cesko-m-sami-opoziciuri-gaertianebis-motkhovna-daakmayofila-da-mat-mier-wardgenili-saarchevno-siebi-gaaugma/>

¹¹ Civil.ge. 2024 „პარტია „ხალხის ძალა“ ოპოზიციამი გადასვლის გეგმებზე საუბრობს“.

ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/644912>

¹² რადიო თავისუფლება. 2024. „რას აჩვენებს "ხალხის ძალა"? - "ქართული ოცნების" განაცხადი პარტიად გარდაიქმნა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/r1vso>

¹³ ფორმულა. 2024. „ოცნების პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ ყაველაშვილი იქნება“.

ხელმისაწვდომია ბლუზე: <https://formulanews.ge/News/120553>

¹⁴ ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საბოლოო ანგარიში საპარლამენტო არჩევნების შესახებ. 2024. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/584029>

ამასთან ერთად, ანგარიშში ნათქვამია, რომ კენჭისყრის დღე, ზოგადად, კარგად იყო ორგანიზებული და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაგრამ ხასიათდებოდა დამაბული გარემოთი და ამომრჩეველთა და ასევე, ადგილობრივი დამკვირვებლების ფართომასშტაბიანი დაშინებით.

ტექსტში ნათქვამია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხშირად მიუთითებდნენ ამომრჩეველებზე ზეწოლის შემთხვევებზე, ცნობებზე ამომრჩეველებისგან რომლებიც ზეწოლას განიცდიდნენ, მმართველი პარტიის სტრუქტურების და მათთან დაკავშირებული პირების მიერ ამომრჩეველების აღრიცხვის ფაქტებზე, ასევე ბევრ საარჩევნო უბანზე გადაჭარბებულ ხალხმრავლობას.

ანგარიშის თანახმად:

- ხმის მიცემის ფარულობა პოტენციურად დაირღვა დაკვირვებული უბნების 24 პროცენტში, რაც გამოწვეული იყო ბიულეტენების საარჩევნო ყუთში შეცურების წესით, საარჩევნო უბნის დარბაზის არასათანადო დაგეგმარებით და ბიულეტენების უკანა მხარეს გამოჟონილი ნიშნების გამო.
- დამატებით, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად ვიდეოჩანაწერით აღბეჭდავენ ხმის მიცემის პროცესს, რაც შესაძლოა ამომრჩეველების დაშინებას უწყობდა ხელს.
- ხმების დათვლის პროცესში გამოვლინდა პროცედურული ხარვეზები, მათ შორის, გამოუყენებელი ბიულეტენების არასათანადო დამუშავება, ხმების დათვლისას გაკეთებული არჩევანის ხმამაღლა გამოცხადების უგულებელყოფა და ბიულეტენების ბათილობის განსაზღვრისას შეუსაბამოები.
- საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამუშავება არათანმიმდევრული იყო.
- მიუხედავად იმისა, რომ ცესკომ წინასწარი შედეგები ოპერატიულად გამოაქვეყნა ინტერნეტით, ძირითადი მონაცემები, როგორცაა ამომრჩეველთა აქტივობა თითოეულ უბანზე და ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, არ იყო ხელმისაწვდომი მარტივად აღსაქმელ ფორმატში.

ამასთან ერთად, ანგარიშში ნათქვამია, რომ „კენჭისყრის დღის შემდეგ საჩივრების და სარჩელების განხილვის პროცესმა საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ, შეზღუდა სათანადო სამართლებრივი პროცესის უფლება, ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა და სრულყოფილად არ უპასუხა არჩევნების შედეგების სანდოობასთან დაკავშირებულ ფართოდ გავრცელებულ შეშფოთებას.“

გარდა მიმდინარე პროცესების ანალიზისა, ანგარიშში ასევე შესულია რეკომენდაციებიც.

პრიორიტეტული რეკომენდაციები მოიცავს:

- ამომრჩეველთა დაშინების, საჯარო სამსახურში დასაქმებულებზე ზეწოლის, ხმების მოსყიდვისა და საარჩევნო ძალადობის პრევენციას;

- ყოვლისმომცველ საკანონმდებლო მიმოხილვას საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის პროცესის გადახედვას, ისე რომ თავიდან იქნას აცილებული რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ საარჩევნო პროცესის დომინირება და სრულად იყოს უზრუნველყოფილი პროცესის ეფექტიანობა;
- პოლიტიკური ფინანსური ზედამხედველობისთვის მკაფიო რეგულაციების შემუშავებას;
- მედიის მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის ღონისძიებების გატარებას;
- საარჩევნო დავების გადაწყვეტის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
- ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის ზეწოლისა და დაშინების გარეშე მუშაობის საშუალების უზრუნველყოფას;
- და ხმის ფარულობის დაცვას პროცედურული მექანიზმების გაძლიერების მეშვეობით.

საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებას ქვეყანაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა შეფასებით, დასკვნამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, როგორც ამას ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ამბობდნენ. მეორე მხრივ, ოპოზიციის აზრით, დასკვნამ ცხადად მიუთითა იმ დარღვევებზე, რომელიც არჩევნების სამართლიანად და საყოველთაოდ ჩატარებას გამოირიცხავდა.

ორი პრეზიდენტი

საარჩევნო კოლეგიამ, რომელშიც „ქართული ოცნების“ პარლამენტარები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების და მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრების ნაწილი შედიან, 14 დეკემბერს პრეზიდენტად, წარსულში „ხალხის ძალის“ წევრი, მიხეილ ყაველაშვილი აირჩია.

ყაველაშვილის პრეზიდენტად არჩევის პროცედურაში მონაწილეობა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა არ მიიღეს. ამასთან, საარჩევნო კოლეგიაში პარლამენტის ყველა წევრი შედის, ხოლო საარჩევნო კოლეგიაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წარმომადგენლებს კვოტებით შეეძლოთ მოხვედრა.

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის თანახმად, ის კვლავ რჩება ქვეყანაში ერთადერთ ლეგიტიმურ ინსტიტუტად¹⁵, რადგან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არალეგიტიმურია და შესაბამისად, ამ შედეგების გათვალისწინებით, ახალი პრეზიდენტის არჩევა არ მომხდარა კონსტიტუციის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციის ცერემონიალის შემდეგ, სალომე ზურაბიშვილმა დატოვა ორბელიანების სასახლე, რომელიც, როგორც წესი, ქართველი

¹⁵ ნეტგაზეთი. 2025. „მე საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტი ვარ — სალომე ზურაბიშვილი“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://netgazeti.ge/news/759093/>

პრეზიდენტების ადგილსამყოფლად მიიჩნევა, მან შეინარჩუნა ადგილობრივ და უცხოელ პოლიტიკოსებში, ასევე მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილში მხარდაჭერა^{16,17}.

მიხეილ ყაველაშვილს პრეზიდენტად გახდომა ისეთმა ლიდერებმა მიულოცეს, როგორცაა, აზერბაიჯანის ლიდერი ილჰამ ალიევი, ბელარუსის ლიდერი ალექსანდრე ლუკაშენკო, სომხეთის პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩი.

შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები ქვეყნის პრეზიდენტად სხვადასხვა პოლიტიკოსებს აღიარებენ.

ევროკავშირთან მოლაპარაკებების გაყინვა და საპროტესტო აქციები

2024 წლის ნოემბრის მიწურულს, საზოგადოების ნაწილისა და ოპოზიციური პარტიების მიერ ქვეყანაში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგების არაღიარების პარალელურად, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ძალაუფლებაში მყოფი გუნდი არ აპირებდა 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის დაყენებას. მისივე განცხადებით, ასევე, 2028 წლის ბოლომდე „ქართული ოცნება“ უარს ამბობდა ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზეც, რომელიც შესაძლოა ევროკავშირის საქართველოსთვის გამოეყო¹⁸.

კობახიძის განცხადებას ქვეყანაში ფართომასშტაბიანი, უწყვეტი საპროტესტო აქციები მოჰყვა. პროტესტის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა ევროპული ინტეგრაციის კურსზე დაბრუნება და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაა. მოგვიანებით მოთხოვნებს დაემატა საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების გათავისუფლებაც.

საპროტესტო აქციების დაწყებიდან მეორე დღესვე, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით „ჩაშალეს აგენტურული ოპოზიციის გეგმები“, რომელსაც არეულობა უნდა დაეწყო მას შემდეგ,

¹⁶ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „ბადრი ჯაფარიძე - ლეგიტიმური პრეზიდენტი არის სალომე ზურაბიშვილი და ლეგიტიმურ პრეზიდენტად დარჩება ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე“.

ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://1tv.ge/news/badri-jafaridze-legitimuri-prezidenti-aris-salome-zurabishvili-da-legitimur-prezidentad-darcheba-akhal-saparlameto-archevnebamde/>

¹⁷ რადიო თავისუფლება. 2024. „საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია“ - ევროპელი პოლიტიკოსები ყაველაშვილის არჩევაზე“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33240019.html>

¹⁸ საზოგადოებრივი მაუწყებელი. ირაკლი კობახიძის განცხადება ევროკავშირთან მოლაპარაკებების დღის წესრიგში არ დაყენების შესახებ. <https://1tv.ge/news/iirakli-kobakhidze-2028-wlis-bolomde-ar-davayenbt-evrokavshirtan-molaparakebebis-gakhsnis-sakitkhs-uars-vambobt-evrokavshiridan-grantze-ganvagrdbzbt-svlas-evrokavshirskan-tumca-aravis-mivcemt-mu/>

რაც 16 დეკემბერს ევროკომისია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე უარს ეტყობდა¹⁹.

აქციების დაწყებიდან მალევე, ქართული ოცნების წარმომადგენლები გამოვიდნენ ახალი მოწოდებით, რომ ისინი მზად იყვნენ „დაუფიქრებლად“ მოეწერათ ხელი ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო მოლაპარაკებების დაწყებაზე, თუ ასეთ შეთანხმებას მათ ევროკავშირი შესთავაზებდა²⁰. მათივე განცხადებით, ქართულმა ოცნებამ არ შეუჩერებია ევროპული ინტეგრაციის პროცესი და ამ თემით „შანტაჟი უნდა დასრულებულიყო“²¹.

საპროტესტო აქციებს შეუერთდნენ სტუდენტური ჯგუფები, მსახიობები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ექიმები, საჯარო მოხელეები და სხვა პროფესიული თუ მიზნობრივი გაერთიანებისა და ჯგუფების წევრები.

პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები პერიოდულად მიმართავენ ისეთ მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფების შეფასებით, ცდება სამართლებრივ ჩარჩოს და სასტიკი ანგარიშსწორების, ძალადობისა და შურისძიების სახეს იღებს.

ძალადობა სახელმწიფოს მხრიდან, თავდასხმა მედიაზე და არაფორმალური ჯგუფები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანახმად²², საპროტესტო აქციების პარალელურად, 28 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით, მოინახულეს აქციაზე დაკავებული და დაშავებული 327 პირი, რომელთაგანაც 225 პირი არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა. სახალხო დამცველის მიხედვით, მათგან 157 პირს ხილული დაზიანება აღენიშნებოდა. ეს დაკავებულთა თითქმის ნახევარს, 48.01 პროცენტს შეადგენს.

¹⁹ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2025. „მამუკა მდინარაძე - აგენტურული ოპოზიციისგან 16 დეკემბერს იგეგმებოდა არეულობის მოწყობა იმაზე დაყრდნობით, რომ ევროკომისიას უარი უნდა ეთქვა მოლაპარაკებების გახსნაზე, ეს გეგმები ჩავუშალეთ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/yg5iT>

²⁰ <https://1tv.ge/news/mamuka-mdinaradze-dadon-magidaze-dokumenti-romlitac-ikhsneba-molaparakeba-da-arc-ki-davfigrdebit-imave-wams-movawert-khels/>

²¹ <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-molaparakebis-gakhsna-tu-undat-dadon-magidaze-dghesve-movawer-khels-chveni-mkhridan-otkhi-wlis-ganmavlobashi-es-sakitkhi-ar-dadgebra-radgan-aravis-davutovot-shantadjis-instrumen/>

²² სახალხო დამცველის აპარატი. 2024. „სახალხო დამცველის ბრიფინგი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-brifingi-mimdinare-movlenebtan-dakavshirebit>

ადგილობრივ მედიაში მოიპოვება²³ იმ ადამიანთა ნაამბობი, რომელთაც განიცადეს დაკავებისას და დაკავების შემდეგ სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

დაკავებულთა მონათხრობის თანახმად, მათ მიზანმიმართულად სცემდნენ, რაშიც ერთდროულად რამდენიმე სპეცრაზმელი ან პოლიციელი იყო ჩართული. დაკავებულების ცემა ხდებოდა ქუჩაში და საპოლიციო მანქანებში. დაკავებულთა ნაწილი მიუთითებს ძალოვანების მხრიდან მკვლელობისა და გაუპატიურების მუქარის²⁴ შესახებ.

ქვეყანაში მოქმედი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციათა ნაწილის შეფასებით, აქციებისას ხდება მშვიდობიანი მომიტინგეების უკანონო დარბევა, „რაც არა საპოლიციო ღონისძიება, არამედ, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე, არის ორგანიზებული დანაშაული“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, „ამ ფაქტებთან კავშირში აქტიურად გამოიყენება თვითნებური დაკავების პრაქტიკა და მიზანმიმართული დევნა. არაერთი მტკიცებულებითა და მოწმის ჩვენებით დადასტურებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული სპეციალური სადამსჯელო რაზმები მომიტინგეებს ალყაში აქცევენ, არ აძლევენ გარიდების შესაძლებლობას, რა დროსაც განურჩევლად ურტყამდნენ აქციის მონაწილეებს, მათ შორის, სასტიკ მოპყრობას და მიზანმიმართულ თავდასხმას დაექვემდებარნენ ქალები, არასრულწლოვანები და შშმ პირები“²⁵.

მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმა დაგმო გაეროს ექსპერტებმა²⁶, ეუთოს სამეულმა²⁷, საქართველოს საკითხებში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) თანამომხსენებლებმა²⁸ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებმა. ძალადობა დაგმო აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს, ევროკავშირისა და სხვა დასავლური სახელმწიფოების ელჩებმაც.

გარდა სახელმწიფოს მხრიდან მომავალი პირდაპირი ფიზიკური ძალადობისა, პრობლემურია აქციების დაშლის მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენებაც, რა დროსაც, ადამიანის უფლებათა დამცველი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, უხეშად

²³ რადიო თავისუფლება. როგორ ძალადობენ აქციაზე დაკავებულებზე. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/p/10403.html>

²⁴ რადიო თავისუფლება. „გაუპატიურების მუქარა აქციაზე ყოფნის გამო - 26 წლის ქალი საკუთარ გამოცდილებას ჰყვება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=HPTs2wPI7Lg>

²⁵ საია. 2024. „საქართველოში მიმდინარე მოვლენები ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად უნდა შეფასდეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://gyla.ge/post/GYLA-Haague>

²⁶ The Office of the High Commissioner for Human Rights. 2024. “Georgia: UN experts concerned by widespread human rights violations amid ongoing protests”. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/12/georgia-un-experts-concerned-widespread-human-rights-violations-amid-ongoing>

²⁷ OSCE. 2024. “Statement by the OSCE Troika on the Situation in Georgia”. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.osce.org/chairpersonship/583315>

²⁸ PACE. 2024. “PACE monitors express concern at the arrest of opposition leaders and police brutality against journalists and peaceful protesters in Georgia”. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://pace.coe.int/en/news/9717/pace-rapporteurs-express-concern-about-arrest-of-opposition-leaders-and-police-brutality-against-journalists-and-peaceful-protesters?fbclid=IwY2xjawHF0mdleHRuA2FibQlxMAABHb0oF-KgXOhxP5E3qce_myFEAQKpQKHCJFLGmBnqj6KkPJCM33eo-qUdhQ_aem_C6nq0CJW9d71Cw2zi5-Xsw

დაირღვა ადამიანის უფლებები და საფრთხე შეექმნა დემონსტრანტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს²⁹. ორგანიზაციათა თანახმად, სახელმწიფოს წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს ძალადობრივად არბევდნენ წიწაკის სპრეის, ცრემლმდენი გაზისა და ქიმიური ნივთიერებით გაჯერებული წყლის ჭავლების გამოყენებით, რაც გარკვეულ რიგ შემთხვევაში უტოლდება წამებას³⁰. პოლიციური ჯგუფების მხრიდან სპეციალური საშუალებების „განურჩევლად ყველას“ წინააღმდეგ გამოყენების შესახებ მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატიც³¹.

არის შემთხვევები, როდესაც ძალოვანი უწყებების მხრიდან აქციის მონაწილეებზე თავდასხმა უშუალოდ მედიისა თუ მოქალაქეების თვალწინ, ჩართული კამერების ფონზე ხდება. მაგალითისთვის ზვიად მაისაშვილის შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე სპეცრაზმელი 30 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე გაუსწორდა³². ძალადობის ფაქტს იქვე მდგარი შენობის აივნიდან მოქალაქე იღებდა.

ტელევიზიების კამერებმა აღბეჭდეს თავდასხმა ჟურნალისტ გურამ როგავაზეც. მან თავდასხმის შემდეგ სხეულის მიმღე დაზიანება, მათ შორის სახის ძვლებისა და კისრის მალის მოტეხილობა მიიღო. ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტზე თავდასხმის კადრებში ჩანს, თუ როგორ ასრულებს ის საკუთარ ჟურნალისტურ მოვალეობას, რა დროსაც მას უკნიდან სპეცრაზმელი უახლოვდება და თავის არეში მუშტს ურტყამს³³. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა გურამ როგავა დაზარალებულად ცნო, აღნიშნულ ფაქტზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არავინ დაუკავებიათ.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც 7 დეკემბერს თავს დაესხნენ ტელეკომპანია „TVPirveli-ს“ ჟურნალისტებს, მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულს. აღნიშნული შემთხვევა „გამორჩეულია“ იმით, რომ ამჯერად მოძალადეები არა სახელმწიფოს ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, არამედ მართველ ძალასთან დაკავშირებული არაფორმალური ჯგუფები

²⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2024. „შსს-ის მიერ აქციების დაშლის მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენებისას უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები და საფრთხე შეექმნა დემონსტრანტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://socialjustice.org.ge/ka/products/shss-is-mier-aktsiebis-dashlis-miznit-spetsialuri-sashualebebis-gamoqenebisas-ukheshad-dairghva-adamianis-uflebebi-da-saftrkhe-sheekmna-demonstrantebis-janmrtelobas-da-sitsotskhles>

³⁰ საია. 2024. „საქართველოში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა წინააღმდეგ წამებისა და არასათანადო მოპყრობის კვლევის წინასწარი მიგნებები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://gyla.ge/post/tsameba-da-araadamianurimopkroba-saerto-gancxadeba>

³¹ სახალხო დამცველი. 2024. „სახალხო დამცველის განცხადება 29-30 ნოემბრის აქციის დაშლის შესახებ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-29-30-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb>

³² რადიო თავისუფლება. 2024. „„გადარჩენილი ვარ“ - ახალგაზრდა, რომლის ცემის კადრებმა აქციაზე უფრო მეტი ადამიანი გაიყვანა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33225295.html>

³³ რადიო თავისუფლება. 2024. „18 დღე გავიდა, ჯერ არავინ გამოუკითხავთ“ - გურამ როგავა დაზარალებულად ცნეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33241948.html>

იყვნენ, რომელთაც სახე ნიღბებით ქონდათ დაფარული³⁴. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ფაქტი ჟურნალისტებმა და შეკრებილმა მოქალაქეებმა დააფიქსირეს და ვიდეოკამერით გადაიღეს, საგამოძიებო უწყებებს ამჯერადაც არავინ დაუკავებია, რაც აჩენს განცდას, რომ თავდასხმა მმართველი ძალის მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი ან/და შეთანხმებული. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების თანახმად, ჟურნალისტების მიზანმიმართული დაზიანების ფაქტების მასშტაბი მიუთითებს არა მარტო მათ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზანზე, არამედ სადამსჯელო რაზმების ინტერესზე, არ გაშუქდეს აქციის უკანონო და ძალადობრივი დარბევა³⁵.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებზე ფორმალურად მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა თავად დაშავებულები ამ გამოძიებების ფასადურობაზე მიანიშნებენ.

საბოლოო ჯამში, აღსანიშნავია, რომ აქციების დროს დემონსტრანტებსა და ჟურნალისტებზე თავდასხმას ჰქონდა განგრძობითი ხასიათი და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცალკეული ინციდენტებით. თავდასხმის ფაქტებზე დაკვირვება აჩენს განცდას, რომ ეს მოვლენები წინასწარ დაგეგმილი და მართული იყო, რა დროსაც მიზანს საჩვენებელი ძალადობა და ანგარიშსწორება წარმოადგენდა.

შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლების შეზღუდვა

საპროტესტო აქციების კვალდაკვალ, დეკემბერში ქართულმა ოცნებამ დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. საგულისხმოა, რომ ცვლილებების მიზანი ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების ერთგვარი შეჩერება გახლდათ.

უფრო კონკრეტულად, დეკემბერში „ქართული ოცნების“ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს აკრძალა:

- იქონიონ ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ნებისმიერი ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას ან მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამართულ ფუნქციონირებას;
- პიროტექნიკის ფლობა და გამოყენება;
- სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა.

³⁴ ნეტგაზეთი. 2024. „ტვ პირველის ჟურნალისტებს “ტიტუშკები” თავს დაესხნენ“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

³⁵ საია. 2024. „საქართველოში მიმდინარე მოვლენები ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად უნდა შეფასდეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://gyia.ge/post/GYLA-Haague>

ნიღბის გამოყენების აკრძალვა „ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ მიმართულ მორიგ ნაბიჯად“ შეაფასა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ³⁶, რადგან, ორგანიზაციის თანახმად, აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გაადვილებას. აღსანიშნავია, რომ კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, პროტესტით, ლაზერული ხელსაწყოთი ან ნიღბით აქციაზე ყოფნა ჩაითვლება კანონდარღვევად, რომელიც გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

გაიზარდა ადმინისტრაციული სახდელები აქციებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე, მათ შორის:

- სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებისთვის ჯარიმის გაზრდას 1000 ლარიდან 2000 ლარამდე და მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას;
- ქალაქის იერსახის დაზიანებისთვის ჯარიმის 50 ლარიდან 1000 ლარამდე გაზრდას და განმეორებით დარღვევისთვის 2000 ლარს;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების ნორმების დარღვევისთვის, მაგალითისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციის აზრით, მანიფესტაციაზე არ იმყოფება საკმარისი რაოდენობის მოქალაქე, თუმცა მაინც მოხდება საავტომობილო გზის გადაკეტვა, ჯარიმის ზრდას 500 ლარიდან 5000 ლარამდე და ორგანიზატორებისთვის 15 000 ლარის ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას;
- ძალოვანი უწყებების უნიფორმის უკანონოდ ტარებაზე 2000-ლარიან ჯარიმას და ატრიბუტიკის კონფისკაციას;

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების თანახმად 100-დან 300-ლარამდე დააჯარიმებენ იმ არასრულწლოვანის მშობელს ან სხვა კანონიერი წარმომადგენელს, რომელიც, პოლიციის აზრით, არ დაემორჩილა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნას.

ცვლილებები ასევე აფართოებს იმ საფუძვლებს, რომელთა გამო შესაძლებელია პირის დაკავება, ნივთების ან დოკუმენტების ჩამორთმევა. პრაქტიკაში ეს შესაძლოა გამოვლინდეს „პრევენციული დაკავებით“, როდესაც პოლიციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მოქალაქემ შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და იგი წინასწარ, ახალი დანაშაულის პრევენციის მოტივით დააკავოს. ცვლილებების მიხედვით, პირი ასევე შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმის გამო, რომ სასამართლოში მიიყვანონ, მიუხედავად იმისა, თავად უარს ამბობს თუ არა მისვლაზე

³⁶ საია. 2024. „შეკრებებზე ნიღბის ტარების აკრძალვით ქართული ოცნება ცდილობს ადამიანები კიდევ უფრო დაუცველი გახადოს იმ ტერორის მიმართ, რომლის დამყარებაც ლეგიტიმური და მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად სურს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.gyla.ge/post/nigbis-akrdzalva>

შეტანილი ცვლილებების თანახმად, შესაძლებელი გახდა „პირის გასინჯვაც“, რასაც, იურისტთა ნაწილის თანახმად, „იურიდიული ახსნა არ აქვს“. მათი განცხადებით, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება ამ ჩანაწერში³⁷.

მნიშვნელოვანია, რომ მმართველი ძალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაემკაცრებინა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, ზღუდავს შეკრებისა და მანიფესტაციის, ასევე გამოხატვის თავისუფლებას. გარდა ამისა, გათვალისწინებული ცვლილებები ქმნის სივრცეს მოქალაქეების პოლიტიკური ნიშნით დევნისთვის, რაც ე.წ. „პრევენციულ დაკავებაში“ შეიძლება გამოიხატოს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის იანვრის ბოლოს „ქართულმა ოცნებამ“ შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლების, აგრეთვე გამოხატვის თავისუფლების უფლებების შემზღუდველი ახალი საკანონმდებლო ცვლილებები დააინიცირა. ცვლილებები გულისხმობს შეკრებასთან და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით ახალ შეზღუდვებს და გაზრდილ სახდელებს. მაგალითად, პოლიტიკური თანამდებობის პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი ან სხვაგვარი შეურაცხყოფა სამსახურებრივი მოვალეობის დროს ან მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და გამოიწვევს ჯარიმას, ხოლო განმეორებისას ადმინისტრაციულ პატიმრობას 60 დღემდე ვადით. გარდა ამისა, სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, მათ შორის შეკრებასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე, ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა იქნება 60 დღე ნაცვლად 15 დღისა.

საჯარო სამსახურის კანონი და „წმენდა“ პოლიტიკური ნიშნით

საპროტესტო აქციების პარალელურად, რომელშიც საჯარო მოხელეებიც მონაწილეობდნენ, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ 9 დეკემბერს განაცხადა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შევა ცვლილება, რითაც რეორგანიზაციის საკითხები საჯარო სექტორში გამარტივდება“. მისი თქმით, „ეს გადაწყვეტა საჯარო სექტორის გაჯანსაღებას უზრუნველყოფდა“³⁸. მანამდე, საჯარო სამსახურში „თვითწმენდის“ შესახებ ისაუბრა ირაკლი კობახიძემაც, რომლის თანახმადაც, „ისინი ველას მოქმედებას აკვირდებოდნენ და რეაგირება ყველას მოქმედებაზე იქნებოდათ“³⁹.

³⁷ რადიო თავისუფლება. 2024. „„განუკითხაობის დაკანონება“ - პოლიციას პრევენციული დაკავების უფლება მიანიჭეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33240616.html>

³⁸ Civil.ge. 2024. „ქართული ოცნება“ საჯარო სექტორში რეორგანიზაციის საკითხებს ამარტივებს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/643242>

³⁹ Interpressnews. 2024. „ირაკლი კობახიძე - საჯარო სამსახურში თვითწმენდის პროცესი ძალიან საინტერესოდ წარიმართა - ყველას მოქმედებას ვაკვირდებოდით და რეაგირება გვექნება, რასაც მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ!“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.interpressnews.ge/ka/article/823115-irakli-kobaxize-sajaro-samsaxurshi-tvitcmendis-procesi-zalian-sainteresod-carimarta-qvelas-mokmedebas-vakvirdebodit-da-reagireba-gvekneba-rasac-mteli-pasuxismgeblobit-vambob/>

მდინარადის განცხადებას წინ უძღოდა საჯარო სექტორის წარმომადგენელთა ერთობლივი განცხადებები, სადაც ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე მომუშავე საჯარო მოხელეებმა დააფიქსირეს ქვეყნის დასავლური კურსისადმი მხარდაჭერა.

საბოლოოდ ქართულმა ოცნებამ დაჩქარებული წესით დაამტკიცა ცვლილებები⁴⁰ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში. ამ ცვლილებების თანახმად:

- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მისი მოადგილეები - იგივე შუა რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირები აღარ მიიჩნევიან საჯარო მოხელეებად. ეს პირები ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები იქნებიან და დაწესებულების ხელმძღვანელის შეცვლა/გათავისუფლება მათ გათავისუფლებასაც იწვევს. გარდა ამისა, მათთან არსებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დაწესებულების ხელმძღვანელის ინიციატივით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ამისთვის საკმარისია წინასწარ ეცნობოს მხარეს და პირს მიეცემა 1 თვის თანამდებობრივი სარგო.
- საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი, როგორცაა, მაგალითად, მინისტრი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს პირს ამ საჯარო დაწესებულებიდან ან უკვე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულს. ასეთები შეიძლება იყვნენ პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე ან ამავე დაწესებულებაში მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელე.
- ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელე 6 თვეში ერთხელ შემოწმდება, ნაცვლად წელიწადში ერთხელ შემოწმებისა. ამასთან, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც არ არის უშუალოდ ჩართული მოხელის შეფასებაში, მოხელის შეფასების შედეგების შეცვლის უფლება მიეცა, მისი შეფასების განხორციელებიდან 1 თვის განმავლობაში.
- თუ მოხელე არადაამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებს, მას დაუკავდება თანამდებობრივი სარგოს 20%, მისი მომდევნო შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე.
- ცვლილების მიხედვით, მობილობის და მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვის წესები აღარ ვრცელდება რეორგანიზაციის შემთხვევებზე შესაბამისად, ცვლილების მიხედვით, რეორგანიზაციის დროს აღარ მოხდება მოხელის მობილობის ხელშეწყობა, მოხელის არც ტოლფას ან დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა და რეორგანიზაციის საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელე აღარ ჩაირიცხება მოხელეთა რეზერვში. აღნიშნული ნიშნავს, რომ რეორგანიზაციის საფუძვლით მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, იგი ვერ გამოიყენებს მობილობის მექანიზმს და იგი აღარც მოხელეთა რეზერვში ჩაირიცხება. რაც თავის მხრივ, სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეს შესაძლებლობას ართმევს მონაწილეობა მიიღოს საჯარო სამსახურებში გამოცხადებულ დახურულ ან შიდა კონკურსებში.

⁴⁰ საქართველოს პარლამენტი. 2024. „პარლამენტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილება მესამე მოსმენით მიიღო“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.parliament.ge/media/news/parlamentma-sajaro-samsakhuris-shesakheb-kanonshi-tsvlileba-mesame-mosmenit-miigho-1>

- მოხელის სამსახურიდან რეორგანიზაციის საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევაში, მას არ მიეცემა არანაირი სახის კომპენსაცია. რეორგანიზაციის საფუძვლით გათავისუფლების თაობაზე მოხელეს უნდა ეცნობოს 1 თვით ადრე. 1 თვის ხელფასის ოდენობით კომპენსაციას მოხელე მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1 თვით ადრე არ აცნობებენ.
- მოხელის სამსახურიდან რეორგანიზაციის საფუძვლით გათავისუფლების შემთხვევაში, გადაწყვეტილების გასაჩივრება ამ აქტის მოქმედებას არ აჩერებს. ამასთან, რეორგანიზაციის შედეგად მოხელის გათავისუფლების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში მოხელის აღდგენა არ ხდება სამსახურში და მას მიეცემა განაცდური და კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
- გარდამავალ პერიოდში სსიპ-ებზე ვრცელდება რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ნორმები. ასევე, სსიპ-ების პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებზე ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ის ნორმები, რომლებიც მათ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად მიიჩნევენ და მათთან ურთიერთობას აწესრიგებს.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების შეფასებით, საჯარო მოხელეები აღნიშნული ცვლილებების შემდეგ „დონეზეც აღარ არიან დაცულნი, რაც ზრდის მათზე გავლენის მოპოვების რისკებს“⁴¹.

საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები გააკრიტიკა სახალხო დამცველმა. მისი განცხადებით, საჯარო სამსახურში რეორგანიზაციით გათავისუფლებულ პირებს აღარ ექნებათ საჯარო სამსახურში აღდგენის მოთხოვნის უფლება, რაც „მათ სხვა საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლებულ მოხელეებთან არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს“. მიღებული ცვლილებები ამარტივებს „რეორგანიზაციის“ პროცესს – ამცირებს ვადებს და აუქმებს ანაზღაურების მექანიზმების უმეტესობას⁴².

საგულისხმოა, რომ მმართველი ძალის წარმომადგენლების რიტორიკა საჯარო სამსახურში ჩასატარებელ ერთგვარ „წმენდაზე“, ასევე, კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მიანიშნებს განსხვავებული პოლიტიკური განწყობების მქონე პირების სამსახურიდან გათავისუფლების ჩანაფიქრზე, რაც ამ პირების კონტროლისა და დასჯის მექანიზმად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უკვე დაფიქსირდა რამდენიმე ათეული შემთხვევა, როდესაც უკვე ყოფილი საჯარო მოხელეები აცხადებენ, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური მიზეზებით მოხდა^{43,44}.

⁴¹ რადიო თავისუფლება. 2024 „საბოლოოდ, რა შეიცვალა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში? - იურისტის ანალიზი“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33240679.html>

⁴² Civil.ge. 2024. „სახალხო დამცველი საკანონმდებლო პროცესს აკრიტიკებს და ადამიანის უფლებების დარღვევებზე საუბრობს“

⁴³ რადიო თავისუფლება. 2025. „მორჩილი საჯარო სექტორი? - გათავისუფლება ერთი წინადადებით“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/HHaDB>

⁴⁴ რადიო თავისუფლება. 2024. „„ხვალ ალბათ შენი ჯერი იქნება“ - საჯარო მოსამსახურეები ამბობენ, რომ მათ პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/s439r>

სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოხელეებისთვის სამართლებრივი მხარდაჭერისთვის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ცხელი ხაზიც შექმნეს⁴⁵.

შეჯამების სახით რომ ითქვას ცვლილებები ასუსტებს პროფესიული საჯარო სამსახურის ინტიტუტს და აადვილებს მასზე პოლიტიკური ზემოქმედების შესაძლებლობას, კერძოდ:

- პროფესიულ საჯარო მოხელეთა მენეჯერული რგოლის ნაწილი აღარ ითვლებიან საჯარო მოხელეებად, რითაც შესუსტდა პოლიტიკური ზეგავლენისგან მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები. ამასთან, ცვლილების ძალაში შესვლისთანავე ამ პოზიციაზე უკვე დასაქმებული პირები ავტომატურად ჩაითვალებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად და შესაძლებელი გახდა მათი ნებისმიერ დროს გათავისუფლება.
- შემცირდა მოხელის პერიოდული შეფასების ვადები და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს მიეცა მოხელის შეფასების შედეგების შეცვლისა და თანამდებობრივი სარგოს დაკავების უფლებამოსილება, რაც შესაძლოა მოხელეზე არალეგიტიმური ზემოქმედების ინსტრუმენტად იქნეს გამოყენებული.
- გამარტივდა რეორგანიზაციის დროს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების წესები და ამ დროს მოხელე ვერ სარგებლობს მობილობის მექანიზმით, რითაც გაუარესდა მოხელეთა უფლებრივი მდგომარეობა და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

დასავლური სანქციები

ქვეყანაში საპროტესტო აქციების დაწყებისა და მმართველი ძალის მიერ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული არაპროპორციული ძალის შემთხვევების პარალელურად, გაიზარდა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან მომდინარე ზეგავლენაც. აღნიშნული ზეწოლა არსებითად ქართული ოცნების მთავრობის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ დაწესებულ სავიზო და ფინანსურ შეზღუდვებში გამოიხატა.

პირველები, რომელთაც „ქართული ოცნების“ მთავრობის წარმომადგენლების წინააღმდეგ ასეთი სანქციები დააწესა, ბალტიური სახელმწიფოები იყვნენ. ლიეტუვამ, ესტონეთმა და ლატვიამ სავიზო შეზღუდვები პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების, მათ შორის, ვახტანგ გომელაურის, ვაჟა სირაძისა და ზვიად ხარაზიშვილის წინააღმდეგ 2 დეკემბერს შემოიღო⁴⁶. მოგვიანებით, სამივე ქვეყანამ სანქცირებულ პირთა რიცხვი გაზარდა და მასში, მათ შორის,

⁴⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ცხელი ხაზი. ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.facebook.com/photo.php?fbid=994245849411849&set=a.622651453237959&type=3&ref=embed_post

⁴⁶ Civil.ge. 2024. „ლიეტუვამ, ესტონეთმა და ლატვიამ ივანიშვილსა და შსს-ს მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/640620>

პოლიტიკოსები და მოსამართლეები მოხვდნენ. ხარაზიშვილისა და სირაძის წინააღმდეგ სავიზო სანქცია შემოიღო ჩეხეთის რესპუბლიკამაც⁴⁷.

საქართველოს 9 მოქალაქის წინააღმდეგ სავიზო შეზღუდვები დააწესა გერმანიამაც. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანახმად, აღნიშნული პირები „პასუხისმგებელი არიან საქართველოში მომიტინგეებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ ძალადობაზე“⁴⁸.

ბიძინა ივანიშვილისა და კიდეც 18 პირის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო უკრაინამაც⁴⁹.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბიძინა ივანიშვილის სანქცირება ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. ვაშინგტონმა ეს გადაწყვეტილება 27 დეკემბერს მიიღო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი, მეთიუ მილერის თანახმად, გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ ივანიშვილის „ქმედებებმა ხელი შეუწყო ადამიანის უფლებების დარღვევას და ძირი გამოუთხარა ქართველი ხალხის დემოკრატიულ და ევროპულ მომავალს რუსეთის ფედერაციის საკეთილდღეოდ.

სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ქმედებებმა გაანადგურა დემოკრატიული ინსტიტუტები, ხელი შეუწყო ადამიანის უფლებების დარღვევას და შეზღუდა ფუნდამენტური თავისუფლებების განხორციელება საქართველოში. გარდა ამისა, მისმა მოქმედებებმა საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის გზიდან გადაახვევინა, რის გამოც, ქვეყანა დაუცველი გახდა რუსეთის წინაშე, რომელიც აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტის ოკუპაციას⁵⁰.

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის დოკუმენტის მიხედვით, ივანიშვილის მთელი ქონება, რომელიც განთავსებულია აშშ-ში, ამერიკელების მფლობელობაში ან მათ კონტროლქვეშაა, გაიყინება. აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის დოკუმენტის მიხედვით, ივანიშვილის მთელი ქონება, რომელიც განთავსებულია აშშ-ში, ამერიკელების მფლობელობაში ან მათ კონტროლქვეშაა, გაიყინება. ივანიშვილის ან მისი პარტნიორების მფლობელობაში არსებული კომპანიების ტრანზაქციები ნებადართულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათზე სანქციების სხვა დებულებები ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ სანქციების რეჟიმი ვრცელდება 2024 წლის სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს საქმეზე განხორციელებულ ტრანზაქციებზეც⁵¹.

⁴⁷ Civil.ge. 2024. „ჩეხეთმა შსს-ს სამ მაღალჩინოსანს სანქციები დაუწესა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/657667>

⁴⁸ Civil.ge. 2024. „გერმანიამ საქართველოს ცხრა მოქალაქეს ქვეყანაში შესვლა აუკრძალა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/649525>

⁴⁹ Civil.ge. 2024. „უკრაინამ ივანიშვილსა და მის თანამოაზრეებს სანქციები დაუწესა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/641773>

⁵⁰ Civilin.ge. 2024. „აშშ-მა ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civilin.ge/ka/archives/648614>

⁵¹ სინგაპურის სააპელაციო სასამართლომ 2024 წლის 11 ივლისს მიიღო განაჩენი, რომლითაც ივანიშვილს შვეიცარიულ ბანკთან, Credit Suisse-სთან დავაში კომპენსაციის მიღების უფლება მიენიჭა. ივანიშვილი ბანკს საკუთარი თანხების გაფლანგვას ედავება.

საანგარიშო პერიოდისას, რადიო თავისუფლების ქართულმა რედაქციამ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა, იმის თაობაზე, რომ იმ დროს შეერთებული შტატების მომავალ სახელმწიფო მდივან მარკო რუბიოს კონგრესიდან გაუგზავნეს წერილი, რომლითაც მას „ქართული ოცნების“ „ავტორიტარული მმართველობის, არჩევნების გაყალბებისა“ და „ჩინეთის, რუსეთისა და ირანის აგრესიის ღერძისკენ საქართველოს გადახრის“ შესახებ ატყობინებენ. „რადიო თავისუფლების“ თანახმად, წერილში ასევე ჩამოთვლილია ბიძინა ივანიშვილის „მაცოცხლებელთა ქსელის“ 25 წევრიც. სიაში შედიან ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრები, „ქართული ოცნების“ წევრები და სახელმწიფო თანამდებობის პირები წარმომადგენლები, ბიზნესმენები და მოსამართლეები⁵².

მნიშვნელოვანია, რომ იანვრის თვეში ბიძინა ივანიშვილის დასაქციების მოთხოვნით გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს შუამდგომლობა წარედგინა⁵³, რომელსაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 25 პარლამენტარზე მეტი შეუერთდა. შუამდგომლობის ავტორები გმობენ ივანიშვილის როლს დემოკრატიის შელახვისა და საქართველოში რუსული გავლენის ხელშეწყობის საქმეში. ასევე, მოუწოდებენ გაერთიანებული სამეფოს მთავრობას განახორციელოს აშშ-ის მთავრობის მსგავსი ქმედებები საქართველოში დემოკრატიული უკუსვლის წინააღმდეგ მტკიცე პოზიციის საჩვენებლად.

საპასუხოდ, ქართულმა ოცნებამ გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც გაერთიანებული სამეფოს მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემთხვევაში, ცხადად წარმოჩინდებოდა, რომ „დიფ სთეიტმა“ დიდი ბრიტანეთი უკრაინის, ლიეტუვის, ესტონეთისა და ევროპარლამენტის დონემდე დაიყვანა. „ქართული ოცნების“ თანახმად, ბიძინა ივანიშვილის დასაქციება ბრიტანეთის სახელმწიფოს ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, გამორჩეულად ტრაგიკულ მოვლენად უნდა შეფასდეს⁵⁴.

საგულისხმოა, ისიც, რომ „ქართული ოცნების“ წევრების თანახმად, დასავლური სახელმწიფოების მხრიდან დაწესებული სანქციები არა შეზღუდვა, არამედ ჯილდოა. სწორედ ჯილდო უწოდა აშშ-ის მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ირაკლი კობახიძემ. მისი განცხადებით, ეს ჯილდო ივანიშვილს „საქართველოს [ომისგან] გადარჩენისთვის გადაეცა“⁵⁵.

⁵² რადიო თავისუფლება. 2025. „ივანიშვილის გარემოცვა, თურნავა, „რიჟა“, სხვა ბიზნესმენები - ვისი სია გაუგზავნეს მარკო რუბიოს, აშშ-ის მომავალ სახელმწიფო მდივანს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/1cMIH>

⁵³ UK parliament. 2025. „Possible sanctions on Bidzina Ivanishvili“ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://edm.parliament.uk/early-day-motion/62974/possible-sanctions-on-bidzina-ivanishvili#tab-supporters>

⁵⁴ ქართული ოცნების პოლიტსაბჭოს განცხადება. 2025. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid0217HN6oZUV6B52x7xvGKmZ7nyip1Wq8WMrsSpN6ZNMW3Nza37nNXpiRXMVm7L6LBDI>

⁵⁵ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2024. „ირაკლი კობახიძე - დღევანდელი გადაწყვეტილება არის ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს ჯილდო ამ ქვეყნის გადარჩენისთვის“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-dghevandeli-gadawyvetileba-aris-bidzina-ivanishvilis-da-saqartvelos-jildo-am-qveynis-gadarchenistvis/>

მიხეილ ყაველაშვილმა იანვრის ბოლოს „კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ პოლიციის მაღალჩინოსნები, მათ შორის სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ დასაწესდებული პირები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა⁵⁶. დაჯილდოვებულთა შორის არიან „ქართული ოცნების“ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და მისი მოადგილეები. ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი ზვიად ხარაზიშვილი.

მზია ამალღობელის საქმე

ადგილობრივი მედია გამოცემების "ბათუმელებისა" და "ნეტგაზეთის" რედაქტორი, მზია ამალღობელი პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ქალაქ ბათუმში 12 იანვრის დილას დააკავეს⁵⁷. დაკავების მიზეზი გახდა ბათუმის პოლიციის უფროსისთვის, ირაკლი დგებუაძისთვის სილის გაწვნა⁵⁸. ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე ამალღობელი შენობაზე საპროტესტო პლაკატის გაკვრის გამო იყო დაკავებული.

ჟურნალისტისთვის წაყენებული ბრალი სანქციის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებიდან რამდენიმე დღეში, 14 იანვარს სასამართლომ ამალღობელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო მოგვიანებით, 21 იანვარს სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო დაცვის მხარის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის შეცვლასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანახმად, რომელიც სასამართლოში მზია ამალღობელის ინტერესებს იცავს, დაკავების შემდეგ, ბათუმის პოლიციის უფროსი ირაკლი დგებუაძე რამდენჯერმე შეეცადა, მას ფიზიკურად გასწორებოდა. ორგანიზაციის ცნობითვე⁵⁹, პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას, დგებუაძემ დაკავებულ ჟურნალისტს სახეში შეაფურთხა. გარდა ამისა, ორგანიზაციის ცნობით, ამალღობელს გარკვეული დროის განმავლობაში დაკავებულს არ ეძლეოდა წყლის დალევისა და საპირფარეოთი სარგებლობის უფლება.

⁵⁶ ტაბულა. 2025. „ყაველაშვილმა გომელაური და პოლიციის სხვა ხელმძღვანელები ღირსების ორდენით დააჯილდოვა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://tabula.ge/ge/news/729304-qavelashvilma-gomelauri-politsiis-skhva>

⁵⁷ Interpressnews. 2024. „„ბათუმელების“ დირექტორი მზია ამალღობელი, რომელიც ცოტა ხნის წინ ხელწერილით გაათავისუფლეს, ისევ დააკავეს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.interpressnews.ge/ka/article/827317-batumelebis-direktori-mzia-amaglobeli-romelic-cota-xnis-cin-xelcerilit-gaatavisuples-isev-daakaves/>

⁵⁸ რადიო თავისუფლება. 2025. „ბათუმელების დამფუძნებელი მზია ამალღობელი პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებითა დაკავებული“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33272790.html>

⁵⁹ რადიო თავისუფლება. 2025. „დაკავების შემდეგ ბათუმის პოლიციის უფროსმა ირაკლი დგებუაძემ მზია ამალღობელს სახეში შეაფურთხა - საია“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33277031.html>

ადამიანის უფლებათა ადვოკატების ჯგუფებისა და სამართლის ექსპერტების შეფასებით, ამაღლობელისთვის წაყენებული ბრალი პრობლემურია. მათი განცხადებით, სილის გაწვნა არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიციელზე თავდასხმად, რადგან ამ ქცევას ჰქონდა მცირე მნიშვნელობა ზიანის მიყენების თვალსაზრისით და ის მხოლოდ სიმბოლური რეაქცია იყო პოლიციელის იმ შეურაცხყოფელ ქმედებაზე, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი მზია ამაღლობელისა და სხვა მოქალაქეების მიმართ. მათი განცხადებით, შეუძლებელია ჟურნალისტის ქმედება სისხლის სამართლის ისეთ დანაშაულად იქნას განხილული, რომელიც სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს⁶⁰. მათივე განცხადებით, ნაცვლად სისხლის სამართლის კოდექსისა, სილის გაწვნის, როგორც ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, ძიება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით უნდა დაწყებულიყო, რაც პოლიციელის მიმართ შეურაცხყოფელი ქმედების განხორციელებას გულისხმობს და იწვევს დაჯარიმებას 2000-3000 ლარით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შესაძლო დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ბრალდებების პარალელურად, ირაკლი დგებუაძეს სოლიდარობა გამოუცხადა თბილისის მერმა და პარტია "ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა, კახა კალაძემ. სპეციალურმა საგამომიებო სამსახურმა აღნიშნულ შესაძლო კანონდარღვევაზე მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 19 იანვარს გაავრცელა⁶¹, სადაც ნათქვამია, რომ გამოძიება 13 იანვარს დაიწყო, თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოცემა "Netgazeti" უწყებიდან აღნიშნულზე პასუხების მიღებას მანამდეც ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ⁶².

ამაღლობელის დაკავება გააპროტესტა და მისი განთავისუფლება მოითხოვა ადგილობრივმა და საერთაშორისო ჟურნალისტურმა გაერთიანებებმა, მათ შორის IMS-მა, ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა CPJ, მედიის განვითარების საინვესტიციო ფონდმა, პრესის საერთაშორისო ინსტიტუტმა IPI, .პრესისა და მედიის თავისუფლების ევროპული ცენტრი (ECPMF), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და სხვა. დაკავებას გამოეხმაურა საქართველოში ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებიც.

20 იანვარს მზია ამაღლობელმა შიმშილობის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. [ამაღლობელმა შიმშილობა დაწყებიდან 38 დღეს, ოჯახის, კოლეგებისა და საზოგადოების თხოვნის შემდეგ შეწყვიტა]. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ცნობით, შიმშილობის შეწყვეტამდე, ამაღლობელს, რომელიც მისი

⁶⁰ რადიო თავისუფლება. 2025. „მთავარი პრობლემა მზია ამაღლობელისთვის წაყენებული ბრალია - იურისტი ომბუდსმენს აკრიტიკებს“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33280251.html>

⁶¹ საზოგადოებრივი მაუწყებელი. 2025. „სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ფაქტებზე სპეციალური საგამომიებო სამსახურის აჭარის სამმართველოში გამოძიება მიმდინარეობს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://1tv.ge/news/samsakhurebrivi-uflebamosilebis-dzladobit-gadametebis-shesadzlo-faqtebze-specialuri-sagamodziebo-samsakhuris-acharis-sammartveloshi-gamodzieba-mimdinareobs/>

⁶² ნეტგაზეთი. 2025. „საგამომიებოში არ ამბობენ, დაიწყეს თუ არა გამოძიება მზია ამაღლობელის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://netgazeti.ge/news/760404/>

ჯანმრთელობის გაუარესების გამო ციხიდან კლინიკაში გადაიყვანეს, პალატაში საკვები შეუტანეს. ორგანიზაციის თანახმად, აღნიშნული ქმედება ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმას წარმოადგენდა⁶³.

პრესის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა საკითხზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, მზია ამაღლობელის დაკავება არის პოლიტიკური შურისძიების გამოვლინება მმართველი ძალის მხრიდან და მიზნად დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვას ისახავს. მათი განცხადებით, მმართველი ძალა ამაღლობელს მისი წარსული საქმიანობისა და კრიტიკული პოზიციების გამო სჯის.

ამაღლობელის დაკავება და შემდგომში განვითარებული მოვლენები არის ქვეყანაში მედია გარემოს გაუარესების ცხადი სიგნალი და წარმოადგენს საფრთხეს პრესის თავისუფლების მდგომარეობისთვის.

ანგარიშსწორება პოლიტიკურ ოპონენტებზე

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პოლიტიკურ ოპონენტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებზე ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევები.

14 იანვარს, ქალაქ ბათუმში სასტუმრო „შერატონში“ ფიზიკურად გაუსწორდნენ საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრს, გიორგი გახარიას. მანამდე იმავე სასტუმროში თავს დაესხნენ ჟურნალისტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ რეგიონული ოფისების მენეჯერს, ზვიად ქორიძესაც.

ქორიძე და გახარია ქალაქ ბათუმში გამოცემების, „ნეტგაზეთისა“ და „ბათუმელების“ დამფუძნებლის და დირექტორის, მზია ამაღლობელის დაპატიმრების გამო, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმყოფებოდნენ.

ზვიად ქორიძის მონათხრობით, მას სასტუმროს ფოიეში ფიზიკურად და სიტყვიერად დაუპირისპირდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები დიმიტრი სამხარაძე, გიორგი მანველიძე და სხვა პირები. ქორიძის განცხადებით, მასზე და გახარიაზე ერთიდაიგივე პირებმა იძალადეს.

მკურნალი ექიმის თანახმად, გიორგი გახარიამ ინციდენტის შედეგად მიიღო მძიმე დაზიანებები, მათ შორის თავის ტვინის შერყევა⁶⁴ ყოფილი პრემიერის პარტიის განცხადებით, მასზე განხორციელებული თავდასხმა იყო „ივანიშვილის რეჟიმის მიერ ორკესტრირებული“⁶⁵.

⁶³ რადიო თავისუფლება. 2025. „პალატაში ადვოკატს მზიასთვის შეტანილი საკვები დახვდა, ეს ფსიქოლოგიური ზეწოლის ფორმაა - ჟურდოვანიძე“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33304631.html>

⁶⁴ რადიო თავისუფლება. 2025. „ექიმის ცნობით, გიორგი გახარიას ტვინის შერყევა და ცხვირის ძვლის მოტეხილობა აქვს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33276171.html>

⁶⁵ რადიო თავისუფლება. 2025. „ძალადობრივი თავდასხმა ივანიშვილის მიერ იყო ორკესტრირებული - გახარიას პარტია“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/Kg4FW>

ინციდენტის შემდეგ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა „ტელეკომპანია იმედმა“ გაავრცელა დამონტაჟებული ვიდეო⁶⁶, სადაც ჩანს სასტუმროს შესასვლელთან მდგომ გიორგი გახარია და პარლამენტის წევრის, დიმიტრი სამხარაძის შორის დაპირისპირება. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, გახარიაზე თავდასხმა მოხდა არა სასტუმროს გარეთ, შესასვლელის მიმდებარედ, არამედ უშუალოდ სასტუმროს ფოიეში. პარტიის წარმომადგენლებმა მიმართეს სასტუმროს ინციდენტის ამსახველი სრული ვიდეო ჩანაწერის გადაცემის მოთხოვნით, თუმცა სასტუმრომ ეს მოთხოვნა არ შეასრულა. ამის საპასუხოდ, სასტუმრომ გამოთქვა მზაობა შესაბამისი ვიდეო მტკიცებულებების საგამოძიებო უწყებებისთვის გადაცემასთან დაკავშირებით⁶⁷. გახარიას გუნდის თანახმად, მათ ჯერ კიდევ არ ეძლევათ ვიდეო-მტკიცებულებების გაცნობის საშუალება⁶⁸.

ინციდენტის შემდეგ, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ მომხდარში თავად გახარია დაადანაშაულა და განაცხადა, რომ სამხარაძემ „თავი დაიცვა“. მან ასევე მიანიშნა, „გახარიას მხრიდან თავდასხმას“ ჰქონდა თუ არა პოლიტიკური სარჩული, რადგან ეს უკვე „უმძიმესი დანაშაული“ იქნებოდა, რომელიც სისხლის სამართლის წესით პასუხისგებას ითვალისწინებს⁶⁹.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტზე გახარია და ქორიძე დაზარალებულად ცნეს, გამოძიებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არავინ დაუკავებია.

USAID-ის პროგრამების შეჩერება

იანვრის თვეში აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც უცხოური დახმარების მინიმუმ 90 დღით შეჩერებას გულისხმობს, მნიშვნელოვნად აისახა საქართველოში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, რომლებიც საკუთარ საქმიანობას USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდნენ.

აღნიშნულმა ცვლილებამ გააძნელა ორგანიზაციათა მუშაობა როგორც ფინანსური, ასევე დარგობრივი მიმართულებით. წლების განმავლობაში USAID იყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი და მათთან ერთად მუშაობდა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა გარემოს დაცვა, კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, ადამიანის უფლებები, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება და სხვა. USAID-ის პროგრამების შესაძლო შეწყვეტის

⁶⁶ ტელეკომპანია იმედის მიერ გავრცელებული კადრები: <https://www.facebook.com/share/v/1YAvEJQnRN/>

⁶⁷ ტაბულა. 2025. „შერატონის წარმომადგენლის თქმით, თავდასხმის ამსახველი ვიდეომასალები სრულად აქვთ“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://tabula.ge/ge/news/728479-sheratonis-carmomadgenlis-tkmit-tavdashkmis>

⁶⁸ რადიო თავისუფლება. 2025. „გახარიას დაზარალებულად ცნობა ფიქციური აღმოჩნდა, მტკიცებულებებს არ გვაცნობენ - „საქართველოსთვის“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33290683.html>

⁶⁹ რადიო თავისუფლება. 2025. „მდინარაძე: გახარია უნდა დაფიქრდეს, ხომ არ იყო პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33276861.html>

პირობებში, ორგანიზაციები კვლავ გააგრძელებენ აღნიშნული მიმართულებებით მუშაობას, თუმცა შეზღუდული რესურსების პირობებში, მათი შესაძლებლობები და ზეგავლენაც შემცირდება.

USAID-ის პროგრამებისა და პროექტების შეჩერებამ ორგანიზაციებში ასევე გამოიწვია დამატებით ისეთი პრობლემები, როგორცაა თანამშრომელთა შენარჩუნება. აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახა იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც USAID-თან თანამშრომლობდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ არსებული პროექტები არ აღდგება, ორგანიზაციებს, რომლებიც მანამდე USAID-თან ერთად მუშაობდნენ, მოუწევთ საქმიანობის მასშტაბების შემცირება ან ახალი პარტნიორებისა და დონორების მოძიება.

USAID-ის პროგრამების შესაძლო გრძელვადიანმა შეწყვეტამ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, კიდევ ერთხელ ცხადყო დაფინანსების ალტერნატიული გზების ძიების აუცილებლობა.

**გამომდინარე იქედან, რომ საანგარიშო პერიოდი სრულად არ არის საკმარისი აღნიშნული მოვლენით გამოწვეული გავლენის შეფასებისთვის, დოკუმენტზე მომუშავე გუნდი სავლელე სამუშაოებს მომდევნო თვეებშიც განაგრძობს.*

აფგან სადიგოვის საქმეზე დავა გრძელდება

ქართულ საპატიმროში რჩება აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი. იგი ქართულმა მხარემ 3 აგვისტოს დააკავა და მალევე საექსტრადაციო პატიმრობა შეუფარდა. სადიგოვის აზერბაიჯანში ექსტრადიციაზე თანხმობა თბილისის საქალაქო სასამართლომ 28 ნოემბერს დააკმაყოფილა, თუმცა 14 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს აფგან სადიგოვის აზერბაიჯანში ექსტრადიცია აუკრძალა⁷⁰.

მეორე დღეს, 15 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დავით ახალბედაშვილმა არ დააკმაყოფილა აფგან სადიგოვის სააპელაციო საჩივარი, რომელიც საქართველოში მისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას ეხებოდა. აღნიშნული სასამართლო იყო უკანასკნელი ინსტანცია, რომელსაც ჟურნალისტისა და რედაქტორის უფლებების დაცვა და მისი ექსტრადიციის შეჩერება შეეძლო. ამით, აფგან სადიგოვის საქმის განხილვა საქართველოს ეროვნულმა სასამართლოებმა დაასრულეს.

საბოლოოდ, 31 იანვარს სასამართლომ საექსტრადაციო პატიმრობის კიდევ სამი თვით გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო⁷¹.

⁷⁰ Civil.ge. 2025. „სტრასბურგის სასამართლოს დროებითი ღონისძიება აფგან სადიგოვის აზერბაიჯანში ექსტრადიციას კრძალავს“. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://civil.ge/ka/archives/652480>

⁷¹ Interpressnews. 2025. „აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან სადიგოვის საექსტრადაციო პატიმრობა დამატებით, 3 თვით, 3 მაისამდე გაგრძელდა“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

აღსანიშნავია, რომ აფგან სადიგოვი საპატიმროში 12 სექტემბრიდან შიმშილობს.⁷² სოციალური სამართლიანობის ცენტრის ცნობით, მისი მდგომარეობა კრიტიკულია⁷³. სადიგოვს, აზერბაიჯანში აღძრული საქმის მიხედვით, ბრალად ედება ადამიანებისგან შეურაცხყოფელი ინფორმაციის გავრცელების მუქარა, დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის მიზნით.

ადგილობრივი უფლებადამცველები მას ჟურნალისტური საქმიანობისთვის დევნილად, ხოლო მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევენ. როგორც აფგან სადიგოვი მედიასთან საუბარში დაკავებამდე აცხადებდა, იგი თავს საქართველოში დაცულად არ გრძნობდა და ქვეყნის დატოვება სურდა, თუმცა 18 ივლისს საზღვარზე არ გაატარეს. მისივე განცხადებით, მას მხოლოდ აზერბაიჯანის მიმართულებით გაფრენა შეეძლო. „რადიო თავისუფლების“ თანახმად, ჟურნალისტის მეუღლე შიმშილობს, რომ სადიგოვს ბაქოში სიკვდილი ელის. ექსტრადაციის შემთხვევაში აფგან სადიგოვი იქნება მეორე ჟურნალისტი, რომელიც ბოლო წლებში საქართველოდან აზერბაიჯანში აღმოჩნდა. 2017 წელს თბილისიდან გაუჩინარებული აფგან მუხთარლი საბოლოოდ აზერბაიჯანის საპატიმროში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ვალუტის კონტრაბანდის ბრალდებით მოხვდა. აზერბაიჯანში მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა 2020 წელს მოულოდნელად გაათავისუფლეს. მუხთარლის მტკიცებით, იგი თბილისიდან ქართულმა მხარემ გაიტაცა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს გადასცეს²⁶. სადიგოვის შესაძლო ექსტრადიცია, საქართველოში "რუსული კანონის" ამოქმედების პარალელურად, მნიშვნელოვან საგანგაშო სიგნალს წარმოადგენს ქვეყანაში მყოფი იმ უცხოელი უფლებადამცველების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც საკუთარ სამშობლოში იდეენებიან, ხოლო საკუთარ საქმიანობას საქართველოდან ახორციელებენ. მსგავსი საქმეების არსებობა და გახშირება ამგვარ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს საქართველოს, როგორც საფრთხის შემცველი ქვეყნის, დატოვებისკენ უბიძგებთ.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/829080-azerbaijaneli-zhurnalistis-afgan-sadigovis-saekstradicio-patimroba-damatebit-3-tvit-3-maisamde-gagrzelda/>

⁷² სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აფგან სადიგოვის ექსტრადაცია 28 თებერვალს შეაჩერა, შედეგად, ჟურნალისტმა შიმშილობა შეწყვიტა.

⁷³ რადიო თავისუფლება. 2025. „აფგან სადიგოვის მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია - "სოციალური სამართლიანობის ცენტრი". ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/33309798.html>